## საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბრძანება N 01-08/307

19 ივნისი 2019 წელი ქ. ბათუმი

**,, საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №01-09/480 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №01-09/480 ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 6 ოქტომბრის MES 71601197373 წერილის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2019 წლის 4 ივნისის MES 21900696011 სამსახურებრივი ბარათის, სტუდენტ ია იაკობაძის 2019 წლის 14 ივნისის MES 71900759863 განცხადებისა და (01.10.2016 წლის) თანდართული განმეორებითი კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №01-09/480 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტში მითითებულ სტუდენტ ია იაკობაძეს (პ/ნ ) 61 კრედიტის ნაცვლად უღიარდეს 97 კრედიტი.

2. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კრედიტები თანდართულის შესაბამისად (დანართი 1- სტუდენტ ია იაკობაძის მიერ ათვისებული კრედიტები.)

3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარედგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

4. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

5. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს- სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის
19 ივნისის № 01-08/307 ბრძანების

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვი საღდგენის წესით 61კრედიტის აღიარებით ჩარიცხული (ბრძანება N 01-09/385 2015წლის23 სექტემბერი) სტუდენტის **ია იაკობაძის** (პ/ნ ) მიერ ათვისებული კრედიტების ნაწილს დაემატა განთლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული (MES 7 16 01197373; 06/10/2016) უცხოეთში ათვისებული 36 კრედიტი, რის შედეგადაც საჭირო გახდა დასკვნის (განმეორებითი) შედგენა და წინამდებარე ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ აღიარებულ 61 კრედიტს დაემატა 2016 წელს აღიარებული 36 კრედიტი.

| | რეჯებ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებათა პროფესიული უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ათვისებული სასწავლო კურსები | | | ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები | | შეფასება | აღიარებული კრედიტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახელება | კრედ. | შეფ. | დასახელება | კრედ. | | |
| 1 | წერითიუნარები | 3 | 59 | აკადემიური წერა | 3 | 59 | 3 |
| 2 | ზოგადი ფიზიკა | 5 | 59 | ფიზიკა | 5 | 59 | 5 |
| 3 | ზოგადი ქიმია | 5 | 59 | ქიმიის შესავალი | 5 | 59 | 5 |
| 4 | კომპიუტერები 1 | 5 | 59 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 5 | 59 | 5 |
| 5 | ზოგადი ბიოლოგია 2 | 5 | 59 | ბიოლოგიის შესავალი | 5 | 59 | 5 |
| 6 | ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია 1 | 3 | 59 | არჩევითი(minor) | 3 | 59 | |
| 7 | ზოგადი ლაბორატორია 2 | 3 | 59 | | 3 | 59 | 60 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ზეპირი უნარები | 3 | 59 | 3 | 59 |
| 9 | განათლების მეცნიერების შესავალი | 4 | 59 | 4 | 59 |
| 10 | სამეცნიერო განათლების შესავალი | 4 | 59 | 4 | 59 |
| 11 | ზოგადი ქიმიის ლაბორატორია 1 | 3 | 59 | 3 | 59 |
| 12 | ზოგადი ქიმიის ლაბორატორია 2 | 3 | 59 | 3 | 59 |
| 13 | ზოგადი ბიოლოგია 1 | 4 | 59 | 4 | 59 |
| 14 | ზოგადი ბიოლოგიის ლაბორატორია 1 | 3 | 59 | 3 | 59 |
| 15 | ზოგადი ბიოლოგიის ლაბორატორია 2 | 3 | 59 | 3 | 59 |
| 16 | კომპიუტერები 2 | 5 | 59 | 5 | 59 |
| 17 | კლავიატურის ტექნოლოგიები | 3 | 69 | 3 | 69 |
| 18 | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 2 | 69 | 2 | 69 |
| 19 | სამართლის საწყისები | 2 | 79 | 2 | 79 |
| 20 | თურქული ენის პრაქტიკული კურსი 1 | 2 | 79 | 2 | 79 |
| 21 | თურქული ენის პრაქტიკული კურსი 2 | 2 | 69 | 2 | 69 |
| 22 | დოკუმენტაციის შედგენა და დაარქივება | 3 | 79 | 3 | 79 |
| 23 | ზოგადი წარმოება | 3 | 59 | 3 | 59 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | ზოგადი ეკონომიკა | 3 | 69 | | 3 | 69 | |
| 25 | ოფისისი კომპიუტერული პროგრამები | 2 | 79 | | 2 | 79 | |
| 26 | კომერციული მათემატიკა და სტატისტიკა | 3 | 79 | მათემატიკა | 4 | 90 | 4 |
| 27 | საბუღალტრო შესავალი | 2 | 100 | | | | |
| | უცხო ენა ინგლისური 1 | 2 | 59 | ინგლისურიენა A2.1 | 5 | 67 | 5 |
| | უცხო ენა ინგლისური 2 | 2 | 89 | | | | |
| | პროფესიული უცხო ენა 1 | 3 | 59 | ინგლისურიენა A2.2 | 5 | 67 | 5 |
| | პროფესიული უცხო ენა 2 | 3 | 59 | | | | |
| | სულ აღიარებული კრედიტები: | | | | | | 97 |

სულ აღიარებულია **97**კრედიტი. აღნიშნულის გათვალისწინებით 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მდგომარეობით სტუდენტ ია კობაძეს სწავლის გაგრძელება შეეძლო „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების V სემესტრიდან. მიმდინარე ეტაპზე (2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის) ია იაკობაძე „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მერვე სემესტრის სტუდენტია.